პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 32 (12240) | ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

წინასაარჩევნო კრებებზე

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება მრძელდება

გუშინ თბილისის კოტოფწინდების ფაბრიკაში გაიმართა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება, რომელზეც ერთხმად მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის კიროვის სახელობის № 128 საარჩევნო ოლქში წამოყენებულ იქნას საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **რევაზ იაკობის-ძე ფრუიძე.**

სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეთა საერთო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესა საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის სასოფლო № 378 საარჩევნო ოლქში დაასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ვასილის-ძე ენიუტინი.** გ. ვ. ენიუტინის კანდიდატურა წამოაყენა აგრეთვე ამავე რაიონის სოფელ ეშერის ილიჩის სახელობის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებამ.

ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზესტაფონის № 706 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე.** მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძის კანდიდატურა წამოაყენა აგრეთვე ამავე საარჩევნო ოლქში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ.

ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისის ლენინის სახელობის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო ხალხმრავალ კრებაზე ერთხმად მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ფლორ რომანის ძე კოზლოვი** და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის კონსტრუქციათა განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ოთარ დავითის-ძე ონიაშვილი.**

დარიკო, ალექსანდრეს-ასული ჭათამაძე — მოწინავე ჩაის მკრეფავი; სოციალისტური შრომის გმირი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ქობულეთის საარჩევნო ოლქი — ბათუმის კანდიდატად წამოაყენებულია ქობულეთის საარჩევნო ოლქის კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ.

გეგეჭკორის რაიონის დიდი ჟაონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მიტროფანე იონასძე კუბაია.**

გრიგოლ ივანეს-ძე ჭიქაბერიძე — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მოწინავე მნგრეველი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამბროლაურის საარჩევნო ოლქში წამოაყენა ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიდიკარის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებამ.

თბილისი. აშვიათი გამოცოცხლებაა ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბის აგიტპუნქტში. აქ ახლა ტარდება კონსულტაციები და საუბრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების, საბჭოთა საარჩევნო კანონის შესახებ და სხვ. კარგად გაფორმებულ აგიტპუნქტში მრავლადაა საგიტაციო ლიტერატურა, ახალი გაზეთები, ჟურნალები. **სურათზე:** აგიტპუნქტის გამგე გ. ოსმანიშვილი (მარჯვნივ) კონსულტაციას უტარებს აგიტატორებს.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

აგიტპუნქტი — პოლიტიკური მუშაობის ცენტრი

ხალხი ასახელებს თავის კანდიდატებს — ყველაზე საუკეთესოებს, ყველაზე ღირსეულ. ხალხი ასახელებს იმათ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პარტიის, სამშობლოს წინაშე, იმათ, რომლებიც ადნობენ ფოლადს, მიწიდან ამოაქვთ ნავთი და ქვანახშირი, სოფლად დოვლათს ამრავლებენ, ზეცაში უშვებენ კოსმოსურ ხომალდებს...

და ამჟამად, როცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ახალ, განსაკუთრებულ ეტაპში შევიდა, უფრო მეტი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ეკისრებათ რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველგან მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდეს წინასაარჩევნო კრებები, რომ მტკიცედ იქნას დაცული საარჩევნო კანონის ყოველგვარი მოთხოვნები.

მომავალი არჩევნებისათვის მზადება სერიოზული გამოცდაა ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის. ამ დიდი მნიშვნელობის კამპანიის თავისებურება კი ის არის, რომ იგი მიმდინარეობს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, დიდი მუშაობა ჩაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით. რესპუბლიკაში შექმნილია კავშირის საბჭოს არჩევნების 14, ხოლო ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 52 საოლქო საარჩევნო კომისია. მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა 2830 აგიტპუნქტი, რომლებშიც გაერთიანებულია 100 ათასზე მეტი აგიტატორი.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაცხოველებით მიმდინარეობს შინაარსიანი საგიტაციო საუბრები, ეწყობა ლექციები, იკითხება მოხსენებები... აგიტპუნქტები გადაქცეულია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ ცენტრებად.

ამ მხრივ ბევრი საუკეთესო მაგალითის მოყვანა შეიძლება თბილისის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების პარტიული ორგანიზაციების მუშაობიდან, რომლებიც უნარიანად იყენებენ მასებთან მუშაობის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს. მართავენ საინტერესო საღამოებს, თეორიულ კონფერენციებს და სხვ. ასევე ითქმის ქუთაისის, სოხუმის, ახალციხის და სხვა პარტიული ორგანიზაციების შესახებ.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ყველგან და ყველაფერი რიგზეა. ჯერ კიდევ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, პარტიის რაიონული კომიტეტი დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმით, რომ შექმნეს აგიტპუნქტები, შეარჩიეს აგიტატორები და თითქმის მოვალეობაც ამით მოიხადეს. მაგალითად, ბოლნისის, ახმეტის, წალკის, ხობის, ლმანისის, აგრეთვე თბილისის 26 კომისრისა და პირველი მაისის რაიონებში ბევრი აგიტპუნქტი ჯერ კიდევ არ არის გადაქცეული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრებად. აქ არ ეწყობა შინაარსიანი და მრავალფეროვანი ღონისძიებანი, ზოგიერთი აგიტპუნქტი გამოკეტილია კიდეც. ბუნებრივია, რომ ამმარჩევლებს არავითარი ხალისი არა აქვთ ასეთ აგიტპუნქტებში მისვლისა. ან როგორ უნდა მისულიყო აგიტპუნქტებში კვირას, 4 თებერვალს ბოლნისის რაიონის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი, როცა აგიტპუნქტები მთელი დღის განმავლობაში დაკეტილი იყო.

ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიან წალკელი კომუნისტებიც. მათთან აგიტპუნქტებში ჯერ კიდევ დუმლია. დუმან აგიტატორებიც. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული კომიტეტის უყურადღებობის შედეგია ის ფაქტიც, რომ ბევრი შენობა, სადაც აგიტპუნქტებია მოთავსებული, შეუფერებელია ნორმალური მუშაობისათვის, ოთახებში არ არის განათება და გათბობა.

ასეთი შეუწყნარებელი ფაქტები სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს!

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მაღალშინაარსიანად წარმართონ პროპაგანდა, პოლიტიკური აგიტაცია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, ასეთი მუშაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად ითვლება საარჩევნო უბანი, მისი აგიტპუნქტი. მაგრამ ამომრჩევლებთან მუშაობა არ უნდა ჩაიკეტოს აგიტპუნქტის კედლებში. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ფართოდ უნდა გაიშალოს აგრეთვე კლუბებში, ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში, მეცხოველეობის ფერმებსა და მემინდვრეობის ბრიგადებში, საამქროებსა და ახალშენებლობებზე, საცხოვრებელ ბინებში...

პარტიული ორგანიზაციები, აგიტკოლექტივები მთელი საარჩევნო კამპანიის საპასუხისმგებლო ამოცანებს წარმატებით გაართმევენ თავს იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა შორის პოლიტიკური აგიტაციის ფორმებსა და მეთოდებში უხვად შეიტანენ მრავალფეროვნებას. ასეთი ფორმები შემოწმებულია თვით ცხოვრებით, პრაქტიკით, საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს თემატურმა საღამოებმა, მკითხველთა კონფერენციებმა, კითხვა-პასუხის საღამოებმა, ექსკურსიებმა, პარტიის XXII ყრილობის დელეგატებთან, წარჩინებულ ადამიანებთან შრომითი შეხვედრებმა.

დღეს შედგება რესპუბლიკური თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. თათბირი შეაჯამებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას იდეოლოგიური მუშაობის დარგში, გააკეთებს კრიტიკულ ანალიზს და დასახავს სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, პარტიის ახალი პროგრამის განხორციელებისათვის რესპუბლიკის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ბრძოლის კონკრეტულ ამოცანებს. პარტიული ორგანიზაციების, აგიტკოლექტივების, რესპუბლიკის იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკის გადაუდებელი ამოცანა ის იქნება, რომ გულდასმით შეისწავლონ და პრაქტიკულად გამოიყენონ საგიტაციო მუშაობის გამოცდილება, აგიტპუნქტების საქმიანობის გამოცდილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ისეთ დონეზე უნდა ავიყვანოთ, რომ მან ხელი შეუწყოს მშრომელთა პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მზადება არჩევნებისათვის

საზოგადოებრივ საწყისებზე

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, საძარე საამქრო, რომელიც გასული წლის აგვისტოში ამუშავდა, პირველ ხანებში ჩამორჩებოდა, „ვაზ-606“ მარკის გამწე ავტომანქანებისათვის საჭირო კაბინების გამოშვებას თავს ვერ ართმევდა.

გასული წლის ბოლოს საამქროში სამუშაოდ მოვიდა ოცდაორი ახალგაზრდა მუშა და სპეციალისტი, რომლებმაც ორი თვე დაჰყვეს მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში კაბინის ცალკეული კვანძების დამუშავებისა და აწყობის შესასწავლად.

იმათ შორის, ვინც რუსი ავტომობილმშენებლებისაგან შეისწავლა კაბინის დამზადების რთული ტექნოლოგიური პროცესები, იყო საშუალო ტექნიკური განათლების მქონე შვიდი ახალგაზრდა. მშობლიურ საწარმოს რომ დაუბრუნდნენ, ახალგაზრდა ტექნიკოსებმა გადაწყვიტეს კაბინების ამწყობ-ზეინკლებად ემუშავნათ და რადაც უნდა დაჯდომოდათ გაედიდებინათ საამწყობო უბნის სიმძლავრე, მიეღწიათ წარმოების დაგეგმილი დონისათვის.

ახალგაზრდა ტექნიკოსებმა რევაზ მებურიშვილმა, ალექსანდრე ქორძიემ, ომარ ხუჯაძემ, რევაზ ქუთათელაძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ, ბორის და ალეგეგო ლეკვეიშვილმა ერთობლივად შეიმუშავეს კაბინების კვანძების წინასწარი აწყობის კონვეიერული მეთოდი, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გადიდდა კაბინების გამოშვება.

ასეთი წარმატება რომ მოიპოვეს, ახალგაზრდებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს — გადაწყვიტეს საამქროსა და მთელ ქარხანაში პირველებს საზოგადოებრივ საწყისებზე შეექმნათ ტექნოლოგიური ბიუროს. ძვირფას წამოწყებას მხარი დაუჭირეს. ტექნოლოგიურ ბიუროს სათავეში ჩაუდგა ტექნიკოსი ომარ ხუჯაძე.

დიდი დრო როდია გასული საზოგადოებრივი ბიუროს შექმნიდან, მაგრამ უკვე მიღებულია ტექნოლოგიური პროცესების გაათვეცებისათვის კოლექტიური შრომის შედეგები. ბიუროს წინადადებით და მისი წევრების უშუალო მონაწილეობით საამქროში გახხორცეულდა კაბინის უკანა გარეთა პანელების ერთად აწყობა.

საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ტექნოლოგიური ბიუროს უდავო დამსახურებაა ის, რომ საამქრო გასული წლის ბოლოდან გარღვევიდან გამოვიდა, გადამეტებით შესრულდა კაბინების გამოშვების მიმდინარე წლის იანვრის დავალება.

ზ. ნურიძე.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 სამშენებლო ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატიდან აფხაზეთის ახალშენებლობები იღებენ სხვადასხვა სახის საშენ მასალებს. საწარმოს კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ გაუმჯობესოს მათი ხარისხი.

კომბინატის კოლექტივი, რომელიც იბრძვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის, ყოველდღიურად ზრდის საწარმოო ტემპებს. აქ დიდი გადაჭარბებით იქნა განაღდებული იანვრის დავალება. განსაკუთრებით წარმატებით შრომობენ მბეტონეთა ბრიგადები, რომლებსაც ე. მამონტოვა და კ. მედვიგინა ხელმძღვანელობენ. მოწინავე მუშები გ. შელია, ფ. კონცევა, ვ. ბრიჩეკა და სხვები ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ანაღდებენ.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდელ ფეხსაცმელთა ფაბრიკის ბრიგადა ალექსანდრ ბერიძეს ხელმძღვანელობით ამ დღეებში ამზადებს ფეხსაცმელს ბავშვებისა და ზრდასრულთა ფეხისათვის. ეს ფეხსაცმელი ფერადი ტყავისაგან, ლაბადა ტყავისაგან, ბოტასები ბეჭედ ტყავისაგან, ბოტასები ბეჭედ ტყავისაგან, ბოტასები ბეჭედ

ვისწავლოთ, ვაშენოთ კომუნიზმი!

იდეოლოგიური მუშაობა ცხოვრებასთან ბაკავშირში!

ეპოქის სუნთქვა

ᲡᲢᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲒᲘᲜᲘᲫᲔ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

□ □

— **ᲓᲘᲓᲔᲑᲐ** შრომას! დიდება შრომის ადამიანს! — სიამაყით გაისმის ეს სიტყვები ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში. და ეს სიამაყე წარმოშობილია ახალი, კომუნისტური დამოკიდებულებით შრომისადმი, რომელიც საბჭოთა ადამიანისათვის წმიდათაწმიდა მოქალაქეობრივ მოვალეობად გადაიქცა.

შრომისადმი ჩვენი ეპოქის ადამიანის დამოკიდებულება შესანიშნავად გამოიხატა კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობაში. ამ მოძრაობას საქართველოში პირველი გამოეხმაურა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა და მისი მუშაახალგაზრდობა.

ამ მოძრაობამ შიიქცია ქართველ მეცნიერთა ყურადღება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის სხდომაზე გადაწყდა შეესწავლათ თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრთა შრომის, სწავლისა და ცხოვრების კონკრეტული მაგალითები და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ეჩვენებინათ, თუ როგორ ყალიბდება შრომის პროცესში ახალი ადამიანი — კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, როგორია მისი მორალური სახე და სულიერი სამდიდრე.

ცხოვრებით ნაკარნახევი ეს **პასუხსაგები** ამოცანა დაევალა ამავე კათედრის დოცენტს დ. ჯიბლაძეს, რომელმაც გულმოდგინედ შეისწავლა ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის სამი ბრიგადის — ვასილ პაპინაშვილის, ლუარა იობიძის და გურამ ჩადუნელის ბრიგადების საქმიანობა.

საკითხის აქტუალობისა და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო კათედრამ გადაწყვიტა ელმავალსამშენებლო ქარხანაში გაემართა თავისი ღია სხდომა. კათედრის მეცნიერ მუშაკებს გარდა სხდომას დაესწრნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები, კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები და წევრები.

სხდომის დაწყებამდე მეცნიერი მუშაკები მივიდნენ ქარხნის საამქროებში, გაეცნენ ელმავალმშენებელთა საქმიანობას, შეხვდნენ ქარხნის ნოვატორებს უშუალოდ მათი მუშაობის ადგილზე...

თაოსნობის სათავეში

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობის მთელ შინაარსს, — ამბობს მომხსენებელი დ. ჯიბლაძე — განსაზღვრავს სამი ძირითადი ლოზუნგი: „ვიშრომოთ კომუნისტურად!“ „ვისწავლოთ კომუნისტურად!“ „ვიცხოვროთ კომუნისტურად!“ ამის ცოცხალი დადასტურებაა თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის მოწინავე მუშაახალგაზრდობის საქმიანობა.

აქ ყოველი ბრიგადა ან ცალკეული მუშა, როცა კომუნისტური შრომის ბრიგადის ან დამკვრელის საპატიო წოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში ებმება, გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს. ამ ვალდებულებებში ლაპარაკია შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევაზე, მასალების ეკონომიაზე, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე და უწუნოდ მუშაობაზე, კვალიფიციური მუშების მომზადებასა და დამატებით, მომჯნავე სპეციალობათა ათვისებაზე, გამომგონებლური და რაციონალიზატორული მუშაობის გაჩაღებაზე, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებაზე, სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის დაცვაზე როგორც წარმოებაში, ისე ოჯახში, ამხანაგებთან, მეზობლებთან ურთიერთობაში, კომუნისტური მორალის ნორმების დაცვაზე.

სხვა ბრიგადების ვალდებულებებისაგან განსხვავებით ვ. პაპინაშვილის ბრიგადის ვალდებულებებში არის ერთი სხვა მუხლი, რომელიც მარტო ამ ბრიგადის ინიციატივაა. ეს გახლავთ ვალდებულება — მასალების ეკონომიური ხარჯვით და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით მიაღწიონ იმდენი თანხის ეკონომიას, რამდენსაც შეადგენს ბრიგადის წევრთა საერთო გამოშუშავება. პაპინაშვილის ბრიგადამ 1960 წელს 139.434 მანეთის ეკონომია გასწია, ეს 55.134 მანეთით მეტია ბრიგადის მიერ გამოშუშავებულ ხელფასზე. ამრიგად, ბრიგადამ ვალდებულება სანაქებოდ გაანაღდა. ამჟამად ბრიგადას კიდევ უფრო კარგი მაჩვენებლები აქვს.

პაპინაშვილის ბრიგადის ამ შესანიშნავ თაოსნობას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა და ეს სავსებით კანონზომიერია.

კომუნისტური შრომის ბრიგადების ეს ვალდებულებანი თავისი შინაარსით მობილიზაციას უკეთებენ, რაზმავენ ბრიგადის წევრებს შრომის, სწავლისა და ცხოვრების კომუნისტურად მოწყობისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდას და მისი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ კიდევ უფრო მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს თვით ბრძოლას ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ამ ბრძოლაში ყურადღებას იპყრობს შრომის მაღალი კულტურა და შემოქმედებითი ხასიათი, შეგნებული დისციპლინა და მისწრაფება, რომ არც ერთი წუთი უშედეგოდ არ იკარგებოდეს. კომუნისტური შრომის ბრიგადების დევიზია ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, უფრო მოლოდაც შეუძლებელია პროდუქტია ისეთი სიუხვის შექმნა, რაც აუცილებელია კომუნიზმის პრინციპის მიხედვით განაწილებაზე გადასვლისათვის.

სამიე ბრიგადაში კოლექტივიზმის, ძმობისა და მეგობრობის სულისკვეთება ჩქეფს. თუ სამუშაო დღის განმავლობაში ბრიგადის რომელიმე წევრს უფრო რთული და მძიმე სამუშაო შეხვდა, ამხანაგები გზადაგზა ცდილობენ დაეხმარონ მას. თუ ვინმე თავის სამუშაოს ადრე მორჩა, როგორც წესი, იგი ვალდებულია მაშინვე მიეშველოს მეორე ამხანაგს, რომელსაც რაიმე მიზეზით ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია დღიური დავალების შესრულება. ამაში განსაკუთრებით შეელის მათ რამდენიმე მომიჯნავე პროფესიის ცოდნა.

წარმოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიური პროცესის დაცვას, რადგან მისი დარღვევა წუნსა და ხარისხის გაუარესებას იწვევს. ამიტომ ვ. პაპინაშვილის და ლ. იობიძის კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრები გამოირჩევიან ტექნოლოგიური პროცესის ცოდნით და ზუსტად იცავენ მას.

კომუნისტური შრომის ბრიგადებში კარგად არის შეხამებული მორალური და მატერიალური დაინტერესების პრინციპი. გეგმის 250 პროცენტით შესრულება — ეს შრომითი მამაცობა და პატრიოტიზმის გამოვლინებაა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამოვლინებაა, რაც საერთო მოწონებისა და წახალისების ღირსია, მაგრამ ამასთან ეს შეძლებული და კულტურული ცხოვრების პირობაც არის, რადგან მუშა 2,5-ჯერ მეტ ხელფასს იღებს და **ამით** მნიშვნელოვნად იუმჯობესებს მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

მეგობარი, ამხანაგი და ძმა

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ფერხულში იწრთობიან და კომუნიზმის აქტიური, შეგნებული მშენებლები ხდებიან არა მარტო ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა მუშები, არამედ ისინიც კი, რომლებიც ერთ დროს მუშაობას გაურბოდნენ. აი ამის მაგალითი:

შარშან ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილავდნენ უქნარა ახალგაზრდების ა. ნანობაშვილისა და რ. ფეთელავას ქალაქიდან გასახლებისა და სამუშაოზე იძულებით გაგზავნის საკითხს. სხდომაზე ესწრებოდნენ ვასილ პაპინაშვილი და გურამ ჩადუნელი. აღმასკომის წევრები თითქმის ყველა ერთხმად მხარს უჭერდა ზემოხსენებული უქნარა ახალგაზრდების გასახლებას, რადგან ისინი არც მუშაობდნენ და არც სადმე სწავლობდნენ. მაგრამ მოულოდნელად საქმეს სხვა მიმართულება მიეცა. სიტყვა ითხოვა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვასილ პაპინაშვილმა.

— მოგვეცით ეს ახალგაზრდები ჩვენ, წავიყვანთ ჩვენს ქარხანაში, ჩავაბამთ ჩვენს კომუნისტური შრომის ბრიგადაში და გამოვასწორებთ!

ეს ასეც მოხდა. ვ. პაპინაშვილმა თავის ბრიგადაში რ. ფეთელავა წაიყვანა, ხოლო გ. ჩადუნელმა — ა. ნანობაშვილი.

აღმასკომის სხდომიდან კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელები პირდაპირ ქარხანაში დაბრუნდნენ და უამბეს თავიანთი ბრიგადის წევრებს აღმასკომში მომხდარი ამბავი, თანაც გააფრთხილეს ისინი ისე შეხვედროდნენ ამ გზაცდენილ ახალგაზრდებს, თითქოს არაფერიც არ იციან მათი წარსულის შესახებ და სთხოვეს განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ მათ მიმართ. ადამიანი ადამიანისათვის ხომ ამხანაგი, მეგობარი და ძმაა.

მორცხვად, უხალისოდ მოვიდნენ ფეთელავა და ნანობაშვილი ქარხანაში. ა. ნანობაშვილი, სანამ მოწაფედ იყო ბრიგადაში, 30 მანეთს იღებდა თვეში. მაგრამ კოლექტივის ძალამ, ერთიანმა მეგობრულმა ზრუნვამ აიძულა იგი დაეძლია სიზარმაცე და უქნარობა. რამდენიმე თვეში შეისწავლა ამწყობი ზეინკლის სპეციალობა, თანრიგი მიიღო და ამავე ბრიგადის ღირსეული წევრი გახდა. ახლა მისი გამომუშავება თვეში 100-120 მანეთს შეადგენს. ეკონომიურადაც მომაგრდა და საზოგადოებრივ მუშაობაშიც ჩაება. 1961 წლის სექტემბრიდან კი სწავლას შეუდგა ქარხნის მუშა ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასში. ამას წინათ იგი კომკავშირშიც მიიღეს როგორც მოწინავე ზეინკალი. ასევე გამოსწორდა მეორე ახალგაზრდა რ. ფეთელავაც.

ეს მაგალითი მკაფიო დადასტურებაა იმისა, თუ რა შეუძლია სანმიუშო კოლექტივის ზეგავლენას. აქ ნათლად ჩანს სკკპ პროგრამაში ჩამოყალიბებული სიბრძნე — ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა.

ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ძიება და საწარმოო ხერხების გაუმჯობესებისათვის შეუნელებელი ზრუნვა დამახასიათებელია კომუნისტური შრომის ყოველი დამკვრელისათვის. ავიღოთ თუნდაც კოჭებისა და გრაგნილების საამქროს კომკავშირელ ქალიშვილთა ბრიგადა, რომელსაც ლაურა იობიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადირის ინიციატივით აქ განხორციელდა რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ყოველ 150 გრამ საიზოლაციო მასალაზე 20 გრამის ეკონომიას იძლევა, რაც წელიწადში 19-20 ათასი მანეთის ეკონომიას შეადგენს. რაციონალიზატორული წინადადებებითა და შრომის საუკეთესო ორგანიზაციით ბრიგადამ მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება. თუ ერთი წლის წინათ ბრიგადა ცვლაში ორი გრაგნილის დახვევას ასწრებდა, ახლა 3-4 გრაგნილს ახვევს.

შემოქმედებითი აზრითა და გამომგონებლობით განსაკუთრებით გამოირჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ვ. პაპინაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა. მათ არა უბრალო, არამედ ინჟინრულად, მეცნიერულად დასაბუთებული ახალი სქემა შეიმუშავეს ელმავლის პნევმატიკური მონტაჟისა, რაც გაცილებით ეკონომიურია წინათ არსებულ სქემებთან შედარებით. ახალი სქემა დროისა და მასალის საგრძნობ ეკონომიას იძლევა.

ამ ბრიგადამ დიდი მუშაობა შეასრულა ახალი კონსტრუქციის ქართული ელმავლის გამოშვებისათვის, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავზე განხორციელდა. ახალი 8-ღერძიანი ელმავალი 8 ტონით ნაკლები წონისაა, ხოლო ტვირთწევის გაცილებით მეტი კოეფიციენტი აქვს.

ᲥᲠᲔᲒᲐ ᲖᲚᲕᲐᲠᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ გადასვლა გულისხმობს ყოველმხრივ განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას. ასეთ ადამიანებს უნარი ექნებათ ეწეოდნენ როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ კომუნისტური შრომის ბრიგადებში გაჩაღებულია ნამდვილი ბრძოლა ასეთი ადამიანების აღზრდისათვის, მეცნიერების სხვადასხვა დარგის დაუფლებისათვის.

ამ ბრიგადების თვითეული წევრი ჩაბმულია პოლიტიკური, ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების რომელიმე ფორმაში. ახალგაზრდა მუშების დიდი ნაწილი საშუალო და უმაღლეს განათლებას იღებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ქარხანაში შექმნილია საერთო აზრი, რომ ყველა ხელი შეუწყოს თავის ამხანაგს სწავლაში. ყველას, ვინც კი სწავლობს, ცდილობენ შეუქმნან ისეთი პირობები, რაც აუცილებელია ნორმალური სწავლისათვის. ასეთ ზრუნვას განსაკუთრებით კომუნისტური შრომის ბრიგადებში ვხედავთ.

ამ ბრიგადის წევრებს კარგად ესმით სკკპ პროგრამის დიდებული სიტყვები: — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“.

როცა რომელიმე ამხანაგს, ვთქვათ, სკოლაში აგვიანდება, მას ადრე, სამუშაო დღის დამთავრებამდე უშვებენ. მაგრამ ეს გავლენას არ ახდენს ბრიგადის გამომუშავებაზე და გეგმის შესრულებაზე. ბრიგადაში დარჩენილი ამხანაგები აძლიერებენ მუშაობას და ასრულებენ სამუშაოდან წასული ამხანაგის ნორმასაც. ვთქვათ, გამოცდების დღეებში რომელიმე მათგანს დასჭირდა მთელი დღით წასვლა სამუშაოდან, მაშინაც ამხანაგები ასრულებენ მის ნორმას. ამით ისინი ხელს უწყობენ და საშუალებას აძლევენ ამხანაგს არ ჩამორჩეს სწავლაში. გული არ გაუტყდეს და სწავლაზე ხელი არ აიღოს. მოსწავლეთა და სტუდენტთა მდგომარეობით დაინტერესებული არიან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, ქარხნის მთელი კოლექტივი. ხშირად გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში იმის გასაგებად, თუ როგორ სწავლობს, ხომ არ აცდენს მეცადინეობას ან რამდენად დისციპლინიანია ქარხნის წარგზავნილი.

და თუ გაიგეს რომელიმე ამხანაგი ამა თუ იმ საგანში ჩამორჩება, მაშინ სასწრაფოდ გამოინახება ინჟინერი ან ოსტატი ან სხვა ვინმე თავიანთ საამქროში ან მეზობელ საამქროში, რათა დახმარება გაუწიონ მოსწავლეს ან სტუდენტს. ასეთ დავალებას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ქარხნის ინჟინრები თუ სხვა მუშაკები ყოველთვის ხალისით იღებენ და მზრუნველობით ეხმარებიან ამხანაგს.

კომუნისტური შრომის დამკვრელებმა სწავლისათვის ლაშქრობა რომ გამოაცხადეს, მხედველობაში ჰქონდათ ვ. ი. ლენინის ანდერძი: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია“.

პარტიასაც სწორედ ეს აქვს მხედველობაში, როცა თავის ახალ პროგრამაში მოითხოვს საბჭოთა საზოგადოებას ყველა მშრომელში მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მთელი მოსახლეობის აღზრდას მენტალიერული კომუნიზმის სულისკვეთებით, რომ უახლოეს დროში გაქრეს არსებითი განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის.

ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ პროგრამაში ნათქვამია: „უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება კარგი მაგალითის ძალას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში“. ამ მხრივ თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდობას **ცოტა** როდი ჰყავს ისეთი ადამიანი, რომლებიც არა მარტო შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს უჩვენებენ, არამედ მთელი მათი მოქმედება პირად ცხოვრებაშიც ნამდვილად მისაბაძია.

აი თუნდაც თვითონ ვასილ პაპინაშვილი. იგი 17 წლისა იყო, როცა მუშაობა დაიწყო, და ახლა დიდი გამოცდილების მქონე ზეინკალია. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ბრიგადაში მისი მუშაობა, მზრუნველობა, გულისხმიერება და გარჯა, არასოდეს დაავიწყდება იგი. ვასილ პაპინაშვილი არა მარტო კარგი მუშა სპეციალისტია, არამედ საუკეთესო მოქალაქეც, მართალი და პატიოსანი, ოჯახის კარგი მამა, აქტიური კომუნისტი, გულისხმიერი ამხანაგი არა მარტო თავისი საამქროს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიმართ, არამედ ყველას მიმართ, ვისაც მასთან რაიმე ურთიერთობა აქვს.

იგივე ითქმის ამ ბრიგადის წევრ კომკავშირელ კუკური ჯიშიაშვილსა და პარტიის წევრობის კანდიდატ ჯიბო მასხარაშვილზეც.

კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრების ბიოგრაფიები ძალიან გვანან ერთმანეთს: ყველა კომკავშირელია, ემზადება პარტიაში შესასვლელად, ყველა სწავლობს, ყველა მოწინავეა, ამას არა ერთი საზოგადოებრივი დავალება, [illegible] ეკისრებულს მას, შრომისა და მეგობრობის ნიშნებს. [illegible] ეს [illegible] ჩვეულებად გადაიქცა [illegible] ერთად წასვლა [illegible]

ᲒᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ

ქარხანაში ათზე მეტი ბრიგადის მუშები მუშაობენ. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ისინი მეგობრულად ცხოვრობენ და ვერც კი გრძნობენ, თუ ერთმანეთისაგან რაიმე ნაშნით განსხვავდებიან. სწავლობენ ერთმანეთის ენას, ცალკეულ სიტყვებს, ზნეჩვეულებებს. ამ მეგობრობის განმტკიცებაზე განსაკუთრებით კარგ გავლენას ახდენს ექსკურსიები, დასვენების საღამოები, ერთმანეთის ოჯახში შეკრება...

ᲨᲠᲝᲛᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲣᲪᲠᲐᲓᲦᲘᲡᲝᲗᲐ ის გარემოება, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებს დიდი დროა ეხარჯებათ ეგრეთწოდებულ აუნაზღაურებელ ანუ უგასამრჯელო შრომაზე. ეს შეეხება თვით საამქროში და ბრიგადაში მუშაობასაც, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობას.

საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში აქტიური ჩაბმა კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

უსასყიდლო, უფასო შრომა საზოგადოების სასარგებლოდ, როგორც ლენინი მიგვითითებდა, — ეს იქნება კომუნისტური შრომა. ამ პრინციპს ახლა ბევრი ძოწინავე მუშა და კოლმეურნე იცავს. ამის პირველი პიონერები არიან კომუნისტური შრომის დამკვრელები და ბრიგადის წევრები. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ცოტანი არიან მთელ მოსახლეობასთან შედარებით. ამიტომაც იყო, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „ერთი ბრიგადა, ერთი ქარხანა, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა ან ერთი რაიონი მარტო ვერ მივა კომუნიზმამდე. მხოლოდ ყველა ერთად, მხოლოდ საერთო-სახალხო ბრძოლის ფართო ფრონტით დავიპყრობთ კომუნიზმის მწვერვალებს“. ამ დიდი ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მუშა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა. ხოლო ეს პროცესი საერთოდ ყველაზე წარმატებით მიმდინარეობს წარმოებაში, განსაკუთრებით კი კომუნისტური შრომის ბრიგადებში...

* * *

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ დამთავრდა. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს რეცენზენტს დოცენტ ა. ბახტაძეს, მემდეგ კი სიტყვებით გამოდიან კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ჩადუნელი, პროფკავშირის საქართნო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ბაკურაძე და დოცენტი ზ. სიმონიშვილი. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ კომუნისტური შრომის ბრიგადების მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და მეცნიერული განზოგადოების აქტუალობას და დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

კათედრის ღია სხდომა დამთავრდა. მისი მონაწილენი ერთმანეთს დასცილდნენ გადაწყვეტილებით: კიდევ უკეთ ვიშრომოთ, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად.

Გ. ᲜᲐᲦᲕᲔᲥᲘᲫᲔ,
Მ. ᲐᲠᲝᲨᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის მეცნიერ მუშაკთა ერთი ჯგუფი ესაუბრება ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲔᲚᲘ ᲝᲛᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲜᲐᲛᲗᲔᲑᲡ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXII ყრილობამ, რომელსაც მსოფლიოს ხალხებმა სამართლიანად უწოდეს კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის ისტორიაში და შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ხალხის მასების როლი და მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ზესტაფონის რაიონის საწარმოთა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი შრომითი საჩუქრები მიუძღვნეს პარტიის XXII ყრილობას და გასული წლის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს. ამ საერთო წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა ჩვენი რაიონის სიამაყემ — ფეროშენადნობთა ქარხანამ, სადაც ფართოდ არის გაჩაღებული ბრძოლა კომუნისტური შრომისათვის, რომელიც 800-ზე მეტი მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი № 1 საამქროს ცვლის უფროსმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ.) მელქაძემ, აგრეთვე ამხანაგებმა მ. სხლოძემ, ვ. ხუჯაძემ, ი. კობახიძემ, კ. მდივანმა, რ. სხილაძემ, კ. ცქიფურიშვილმა და მრავალმა სხვამ.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონს არა აქვს სახარბიელო მაჩვენებლები სოფლის მეურნეობაში და გასული წელი რაიონის მევენახეებმა ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს, კოლმეურნეობებში მაინც მრავლად მოიძებნებიან არა მარტო ცალკეული კოლმეურნეები, არამედ მთელი რგოლები და ბრიგადებიც კი, რომლებიც სასახელოდ შრომობენ და გარკვეულ წარმატებასაც აღწევენ. ამ მხრივ პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია სოფელ ფუთის კოლმეურნეობა, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ავრონომი ქალი ც. გელაშვილი, რომელმაც გასულ წელს რაიონში ყველა კოლმეურნეობას გაუსწრო როგორც სიმინდის, ისე ყურძნის მოსავლიანობაში.

მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად სასახელოდ შრომობენ რაიონის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

მაგრამ ამ მოწინავე და სასახელო ადამიანების გვერდით ჯერ კიდევ არიან ისეთი ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტები, რომლებიც თავს არიდებენ პატიოსან შრომას, ეწევიან სხვადასხვა დანაშაულებრივ მოქმედებას და მდიდრდებიან არაკანონიერი გზით. ეს ადამიანები ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულან წარსულის მავნე გადმონაშთებისაგან, რაც ხელს უშლის მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთები სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ერთ-ერთ ასეთ ფორმას შრომისადმი არაკეთილსინდისიერი, არაკომუნისტური დამოკიდებულება წარმოადგენს. არიან ადამიანები, რომლებიც გაურბიან პატიოსან შრომას, ცდილობენ ცოტა ან სრულებით არ იმუშაონ, მაგრამ ბევრი მიიღონ. ასეთი ადამიანები ცხოვრობენ არაკანონიერი გზით, ეწევიან კერძო მეწარმოე საქმიანობას, სპეკულაციას, ძარცვას, ეურდობას და სხვ.

უკანასკნელ ხანს, მართალია, რაიონში მკვეთრად შემცირდა სოციალისტური საკუთრების განიავება-დატაცების შემთხვევები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

ზარშან ივლისში კავშირგაბმულობის ზესტაფონის რაიონული კანტორის მცველმა 4.085 მანეთი გიიტაცა. იმავე თვეში გარეუბნის კოოპერაციის შორაპნის მაღაზიის გამგემ ვ. ს. ჭუმბაძემ და გამყიდველმა მ. ი. ხიხინაშვილმა 6.400 მანეთი მითვისეს.

რაიონში იყო სახელმწიფო ქონების მითვისების სხვა შემთხვევებიც. უყურადღებოდ არც ერთი არ დაგვიტოვებია. დამნაშავეებმა საკადრისი პასუხი მიიღეს, მაგრამ სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების, როგორც წარსულის ყველაზე მახინჯი გადმონაშთის, წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ისეთი ფორმები, როგორიც არის დამნაშავეთათვის მორალური ბოიკოტის გამოცხადება და საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფეროს შექმნა.

მრავალ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, დღემდე არ მოხერხდა წესრიგის დამყარება ვაჭრობის დარგში. ამას წინათ პარტიის რაიკომის მიერ მოწყობილმა რეიდმა გამოავლინა, რომ საგაჭროებში ბევრი უპატიოსნო ადამიანს აქვს თავი შეფარებული. ისინი უსირცხვილოდ ატყუებენ მომხმარებლებს ზომა-წონაში. უნდა ითქვას, რომ მათ წინააღმდეგ არასაკმაოდ იბრძვიან სავაჭრო ორგანიზაციების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, საზოგადოებრივი კონტროლიორები.

ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთს ეკუთვნის აგრეთვე სპეკულაცია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ზესტაფონის რაიონში უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გავრცელდა ფალსიფიცირებული ღვინის დამზადება და გაყიდვა.

ღვინისა და საქონლის სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ლ. ნ. ჭუმბაძე, ი. ზ. მაღლაკელიძე და შ. ი. აბაშიძე. მაღლაკელიძე იაფ ფასებში ყიდულობდა საქონელს, კლავდა მას ბინაზე და ყიდდა ხორცს ბაზარზე, ხოლო აბაშიძე სპეკულიაციას ეწეოდა მარელისის ავეჯის ფაბრიკის მიერ გამოშვებული სკამებით.

ადამიანები, რომლებიც არაშრომითი შემოსავლით, არაკეთილსინდისიერი საშუალებით ცხოვრობენ, კარგავენ ყოველგვარ ზომას საკუთარი კომფორტის მოწყობაში: იშენებენ უზარმაზარ სახლებს, იძენენ ძვირად ღირებულ ავეჯსა და ნივთებს, ხშირად იცვლიან მსუბუქ ავტომანქანებს. ეწევიან ხელგაშლილ ცხოვრებას. ქ. ზესტაფონში ბარათაშვილის ქუჩა № 51-ში მცხოვრებმა ლიზა გიორგის ასულმა ჭუმბაძემ ააშენა სახლი, რომლის ფართობი 77 კვ. მეტრია მეტია, ვიდრე ნორმით არის დაწესებული, ხოლო ბარნოვის ქუჩის № 27-ში მცხოვრებ სიმონ არქიპოს-

მეცნიერის დიდი მონაპოვარი

ბაბაში ახლახან დამთავრდა კონფერენცია — სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილმა ნეიროფიზიოლოგებმა, რომლებიც თავის ტვინის მოქმედებას შეისწავლიან და ნეირომორფოლოგებმა — ტვინის მიკროსკოპული აგებულების შემსწავლელმა მეცნიერებმა. მეცნიერთა ამ თავყრილობის საზრუნავი იყო: ესაუბრათ ისეთ გამოკვლევებზე, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შევიცნოთ თუ რა ფიზიოლოგიური საფუძვლები, ფიზიოლოგიური მექანიზმები აქვს ფსიქიკურ მოქმედებას და რა მატერიალური ერთეული, რა ნერვული ელემენტებია თავის ტვინში, რომელთა მოქმედების შედეგად აღმოცენდება ადამიანისა და ცხოველთა ფსიქიკური პროცესები.

იქნებ ვინმემ გაიკვირვოს: გაგრაში ფიზიოლოგთა კონფერენცია? — დიახ, გაგრაში, ზღვისპირეთის თვალწარმტაც კურორტში. ჩვენი სასიქადულო მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით ეს უკვე მეოთხედ მოეწყო ახლებური ყაიდის კონფერენცია, სიმპოზიუმად წოდებული. სწორედ რომ მშვიდ, სანატორიულ პირობებში ხერხდება მეცნიერთა იმრიგად გასაუბრება, რომ განსახილველი პრობლემის ირგვლივ წარმოდგენილ მოხსენებებს მონაწილენი წინასწარ გულდასმით ეცნობიან და ამის შედეგად კამათობენ მოხსენებაში აღძრულ საკითხთა გამო. კამათობენ დროის შეუზღუდველად, ვიდრე მოპაექრენი ერთ გარკვეულ აზრს არ დაადგებიან. ზშირად ისედაც ხდება, რომ სხდომა დამთავრდება, მაგრამ იქ დაწყებული კამათი ზღვისპირა ბულვარში სეირნობის დროსაც გრძელდება. კონფერენციის ამ თავისებური ფორმის გამო გაგრის სიმპოზიუმებს „გაგრის საუბრების“ სახელითაც მოიხსენიებენ.

შემთხვევითი როდია, რომ ივანე ბერიტაშვილის თაოსნობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწვეული წლევანდელი გაგრის საუბრები ფსიქიკური მოქმედების ანატომიურ და ფიზიოლოგიურ საფუძველთა ძიების მნიშვნელოვან პრობლემას მიეძღვნა. ი. ბერიტაშვილისა და მისი სკოლის გამოკვლევებმა გაამდიდრა ჩვენი მეცნიერება ისეთი მნიშვნელოვანი მეცნიერული ფაქტებითა და თეორიული დებულებებით, რომლებიც ადამიანისა და უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის, მათი ფსიქიკური მოქმედების ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური საფუძვლების მიგნებას აადვილებენ.

მრავალი ნაშრომი აქვს ივანე ბერიტაშვილს დასტამბული ტვინის „კოორდინაციულ“ მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლის შედეგად, ე. ი. ისეთი მოქმედების კვლევის შედეგად, რომლის მეოხებითაც ხორციელდება ადამიანისა და უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა მიზანშეწონილი, ბიოლოგიურად აუცილებელი და გარემოსთან შეგუებისაკენ მიმართული რეაქციები. ამ გამოკვლევათა პუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს ადამიანთა და ცხოველთა ქცევის უმაღლესი ფორმის, ფსიქიკური მოქმედების ფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა ძიება. ამ გეზით ნაწარმოები მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგები შეჯამებულია ზარშან ან ზარშანწონ გამოსულ ივანე ბერიტაშვილის ორ წიგნში. ერთი წიგნის სათაურია „უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის ნერვული მექანიზმები“, ხოლო მეორისა — „უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა სივრცეში ორიენტაციის ნერვული მექანიზმები“. საბჭოთა ფიზიოლოგიის ორივე ამ ნაშრომს მნიშვნელოვან ეტაპად თვლიან ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედების, ცხოველთა ქცევის შესწავლის ისტორიაში, და ამტომ არის, რომ ამ წიგნების ავტორი ლენინური პრემიის ლაურეატთა კანდიდატობის საპატიო სიაშია.



საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ცხოველთა ქცევის შემსწავლელი მეცნიერების განვითარებისთვის სახელგანთქმული რუსი ფიზიოლოგის ივანე პავლოვის იმ აღმოჩენამ, რომ თავის ტვინში გარკვეულ პირობებში განვითარდება ახალი ნერვული კავშირები და ამ ე. წ. დროებითი კავშირების მეშვეობით ხორციელდება ახალი რეფლექსური, პირობით-რეფლექსური მოქმედება. ცნობილია ისიც, რომ რუსეთის ფიზიოლოგიის მამამთავრის ივანე სეჩენოვისა და ივანე პავლოვის მიერ აღიარებულმა პრინციპმა, რომ ყოველგვარი ქცევის გამოვლინებას საფუძვლად რეფლექსური მოქმედება უნდა ედოს, მთელი ეპოქა შექმნა მატერიალისტური ბუნებისმეტყველების განვითარებაში.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი იყო ივანე ბერიტაშვილი, როცა იგი ცხოველთა პირობით-რეფლექსური მოქმედების კანონზომიერებათა გამოკვლევას შეუდგა. ამასთან დაკავშირებით იგი იკვლევდა ცხოველთა ქცევის სხვადასხვაგვარ გამოვლინებას. და აი როდ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი მასალის მეცნიერული ანალიზის გზადა საჭირო, ი. ბერიტაშვილი მივიდა ფიზიოლოგოთათვის იმხანად სრულიად უჩვეულო დასკვნამდე: ადამიანისა და ცხოველთა ყოველგვარი ქცევა როდი წარმოადგენს სხვადასხვა უპირობო, თანშობილ და პირობით, სიცოცხლის მანძილზე შეძენილ რეფლექს თა ჯამს. ი. ბერიტაშვილმა თითქმის ამ 30 წლის წინათ თქვა, რომ რეფლექსური ტიპის ქცევის გარდა არსებობს ქცევის უფრო მაღალი ფორმა, რომელსაც თან სდევს ფსიქიკური მოქმედება და რომლის უაღრესი განვითარების შედეგად აღმოცენდება ადამიანის ცნობიერი მოქმედება.

ი. ბერიტაშვილის წიგნში ცხოველთა ქცევის ნერვული მექანიზმების შესახებ განხილულია ის ძირითადი დებულება, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში იმეორებოდა და წელში იმართებოდა. ცოცხალი ორგანიზმების ისტორიულ განვითარებასთან ერთად ევოლუცია განიცადა რეფლექსურმა მოქმედებამაც და ამ ევოლუციის შედეგად განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაჩნდა ახალი სახის ქცევა, რომელშიც წამყვან როლს ასრულებს ობიექტური რეალობის, გარესამყაროს სუბიექტური იდეა, ე. ი. ფსიქიკური მოქმედება. ქცევის ამ ახალ სახეს ი. ბერიტაშვილმა ფსიქონერვული მოქმედება უწოდა, რამდენადაც იგი ნერვული მოქმედების ფსიქიკურ გამოვლინებას გამოხატავს.

ფსიქონერვული მოქმედება, მეცნიერის აზრით, განვითარებული ცხოველის გარე სამყაროსთან შეგუების საქმეში უპირატესია რეფლექსურ მოქმედებასთან შედარებით და მისი მეშვეობით უკეთ ხორციელდება გარემო პირობების გარდაქმნა ორგანიზმის სასიცოცხლო მოთხოვნილებების შესაბამისად. და თავის ამ თეორიულ შეხედულებებს ივანე ბერიტაშვილი მრავალი ფრიად ყურადსაღები ექსპერიმენტული მასალით ასაბუთებს. ამ მასალით ირკვევა ის მნიშვნელოვანი დებულებაც, რომ ქცევის ყოველგვარი აქტის განხორციელებაში მთელი ცენტრალური ნერვული სისტემა იღებს მონაწილეობას. მაგრამ ქცევის ამა თუ იმ აქტის შესრულების დროს ტვინის ერთი რომელიმე ნაწილის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ი. ბერიტაშვილს მოჰყავს მრავალი საინტერესო ექსპერიმენტული ფაქტი ტვინის ამ სხვადასხვა ნაწილთა ფუნქციის გარკვევისთვის. ამ თვალსაზრისით არის წიგნში განხილული თავის ტვინის მოქმედების ზოგადი რეფლექსური კანონზომიერებები და მერე აღწერილია ის კანონზომიერებებიც, რომლებიც, ავტორის აზრით, ცხოველის ფსიქონერვულ მოქმედებას უნდა წარმართავდეს. განსაკუთრებით საინტერესოა მასალა, სადაც განხილულია თავის ტვინის ქერქის ევოლუციის ადრინდელ პერიოდში წარმოქმნილი ნაწილისა და ევოლუციის გვიან პერიოდში წარმოქმნილი ნაწილის — ე. წ. ძველი და ახალი ქერქის ურთიერთობის საკითხები. ამ მასალით, სხვათა შორის, აშკარა ხდება, თუ რა როლს ასრულებს ძველი ქერქის სხვადასხვა ნაწილი ცხოველის შიშის, გააფთრების რეაქციებში, შიმშილის განცდის წარმოშობაში და ა. შ.

ყველა ფიზიოლოგმა იცის, რომ ტვინის ამა თუ იმ მიდამოს ფუნქციური თავისებურება ამ მიდამოს სტრუქტურული, მიკროანატომიური თავისებურებით არის პირობადებული. მაგრამ ამ ჭეშმარიტებას ბევრი მეცნიერი მხოლოდ მოკრძალებით ლეკვას შეეხება. როცა უმაღლესი ხერხემლიანი ცხოველი მოძრაობს, იმისთვის, რომ იგი წავიდეს ამა თუ იმ მიმართულებით, იმისთვის რომ სწორი გეზი აიღოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტისკენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ სივრცეში ორიენტაციის უნარს. ავტორი ანალიზს უკეთებს ცხოველის ამგვარი მოძრაობის ცალკეულ მომენტებს და ასაბუთებს, თუ რა როლი ენიჭება ამ მოძრაობათა შესრულებაში და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტის, ვთქვათ, საჭმლის აღქმაში ან საჭმლის ადგილდებარეობის წარმოდგენაში ფსიქონერვულ მოქმედებას. იგი ამავე დროს გვაჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ეს ფსიქონერვული მოქმედება შეიცვალოს „ვაკეთომაპირობით-რ ე ფ ლ ე ქ ს უ ნარი მოქმედებით, რომლის კანონზომიერებათა დადგენაში ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვის ი. პავლოვის მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების თაობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ი. ბერიტაშვილის ეუგად მახსენებელთა შორის მეტ წილად ისეთნი იყვნენ, რომელთაც ბევრი არა გაეგებოდათ რა ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედების საკითხებისა. ჩვენი მეცნიერი მტკიცე სიმშვიდით იტანდა ყოველივე უდიერ გამოხდომას. დღეს კი მისი აზრები სულ უფრო და უფრო იკიდებენ ფეხს სპეციალისტთა შორის და შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეების ავტორს ამქვეყნად მხოლოდ კეთილმოსურნენი-ღა შემორჩენენ.

ი. ბერიტაშვილი

გაგრის სიმპოზიუმის მონაწილეთა შორის თვალნათლივ გამოირჩეოდა უხუცესი მეცნიერი ივანე ბერიტაშვილი. იგი — ყველაზე ენერგიული, დაუღგრომელი, გამჭრიახი გონების პატრონი და ჭეშმარიტად მეცნიერული ინტერესებით აფეთქებული — შეუსვენებლივ მუშაობდა და ახალგაზრდული ჯანით ებმებოდა პაექრობაში ყველა მოხსენების ირგვლივ.

ვისაც კი თუნდაც ერთხელ უნახავს იგი, საქართველოში ერთერთი ყველაზე მეტად პოპულარულ მეცნიერთაგანი, ვისაც ივანე ბერიტაშვილის სიმხნე უხილავს, დარწმუნებული დარჩენილა, რომ მისი უბერებელი ინტელექტი კვლავაც მრავალ ახალ იდეას შეჰმატებს ჩვენს მეცნიერებას.

ნ. ძიძიშვილი,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

განიხილავენ კუბის პროტესტს

მენერალური ასამბლეის XVI სესიაზე

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **ნ. ტურკატენკო** იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა დღეს დაიწყო თავისი დღის წესრიგის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხის განხილვა: კუბის პროტესტი იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას დაემუქრა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ აგრესიის ახალი გეგმებისა და ინტერვენციის აქტების შედეგად, რომლებიც მიმართულია კუბის რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ.

მრავალი დოკუმენტი, რომლებიც კუბის მთავრობამ დელეგატთა განსახილველად წარადგინა, მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ დაკმაყოფილდა კუბის წინააღმდეგ ინტერვენციის სამარცხვინო ჩაფუშვით და ამზადებს კუბის რევოლუციის ჩახშობის ახალ გეგმებს. მემორანდუმში, რომელიც კუბის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1961 წლის 28 აგვისტოს გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს, ბევრ სხვა ფაქტთან ერთად აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები ამზადებენ დაქირავებულთა ბანდებს კუბაზე ახალი თავდასხმისათვის.

„კუბის რევოლუციური მთავრობა, — ნათქვამია მემორანდუმში, — გამოთქვამს იმედს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა გულდასმით და ობიექტურად შეისწავლის უაღრესად საშიშ მდგომარეობას“ და „მიიღებს საჭირო ღონისძიებებს იმპერიალისტთა გეგმების განხორციელების თავიდან ასაცილებლად“, რაც „აღკვეთავს დაძაბულობის შემდგომ ზრდას“.

რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა წარადგინეს რეზოლუციის პროექტი დღის წესრიგის განსახილველ საკითხზე, რომელიც მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ შეწყვიტოს ჩარევა კუბის საშინაო საქმეებში და ყველა მოქმედება კუბის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, რომელმაც დაიწყო კუბის პროტესტის განხილვა იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას დაემუქრა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიული გეგმებისა და აქტების შედეგად კუბის რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ, პირველი გამოვიდა კუბის წარმომადგენელი გარსია ინჩაუსტეგი.

კუბის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, თქვა მან, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განუწყვეტლივ ცდილობს ჩაახშოს ეს რევოლუცია. ეს აგრესიული პოლიტიკა გამოიხატა პირდაპირი ინტერვენციით კუბის წინააღმდეგ შარშან აპრილში. ინტერვენციის სამარცხვინო ჩაფუშვის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაიწყო ახალი ინტერვენციის მზადება. დაქირავებულთა ბანდებს წვრთნიან ამერიკის ხარჯზე და ამერიკის სამხედრო პირთა ხელმძღვანელობით როგორც თვით შეერთებული შტატების ბაზებში, კერძოდ, ფლორიდაში, ისე ლათინურ ამერიკაში — დომინგოს რესპუბლიკაში, პუერტო-რიკოში, ნიკარაგუაში, გვატემალაში, პანამაში.

კუბის დელეგატის სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა პუნტა-დელ-ესტეს კონფერენციას, რომლის დროსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცადეს „დაერაზმათ“ ლათინური ამერიკის ქვეყნები კუბის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ძია სემი, თქვა ორატორმა, პუნტა-დელ-ესტეში ჩავიდა ერთ ხელში ქისით და მეორე ხელში სისხლიანი ხანჯლით. მისი მიზანი იყო ლახვარი ჩაეცა გულში კუბისათვის.

კუბის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არავის არ ძალუძს უარყოს ფაქტები, რომ შეერთებული შტატები ამზადებენ ახალ აგრესიას კუბის წინააღმდეგ, და მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიიღოს ღონისძიებანი ახალი აგრესიის თავიდან ასაცილებლად: მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბის მთავრობა მზად არის მშვიდობიანი გზით და, რა თქმა უნდა, არა კუბის სუვერენიტეტის საზიანოდ მოაწესრიგოს სადავო საკითხები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის.

თუ აგრესია მაინც გაჩაღდა, მას კვლავ გავცემთ გამანადგურებელ პასუხს. კუბა არ დანებდება, თქვა გარსია ინჩაუსტეგიმ. სამშობლო ან სიკვდილი!

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სტივენსონი, რომელმაც ცინიკურად უარყო ყველასათვის ცნობილი ფაქტები, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაიდინეს აგრესია და ამზადებენ ახალ აგრესიას კუბის წინააღმდეგ. მან დაუშვა უხეში გამოხდომები კუბის მთავრობის წინააღმდეგ და არსებითად გასაგებად თქვა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებენ ხელი აიღონ ცდებზე შეცვალონ სოციალური წყობილება კუბაში.

დეგოლის გამოსვლა

პარიზი, 6 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის რადიოთი და ტელევიზიით.

მან კვლავ განაცხადა (უკვე მერამდენჯერ), რომ საფრანგეთის ამოცანაა „უმოკლეს ვადაში აღადგინოს მშვიდობა და დაბრუნება გაუწიოს ალჟირის თავის ხელში აიღოს საკუთარი ბედი“ და რომ საფრანგეთის მთავრობა მზად არის ცნოს „სუვერენული და დამოუკიდებელი“ ალჟირის სახელმწიფო. მაგრამ პრეზიდენტს არ უთქვამს, თუ რა კეთდება კონკრეტულად ამისათვის და როდის განახლდება მოლაპარაკება ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან.



ბომბის სროლა სასტიკად აკრძალულია. ბომბის სროლა სათვის... საყვედური!
ნახატი ა. ზუბოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

პრეზიდენტმა აღიარა საფრანგეთის საშინაო პოლიტიკური ვითარების დაძაბულობა, რაც გამოიწვია ფაშისტური და კოლონიალის ტ უ რ ი დაჯგუფებების დანაშაულებრივმა მოქმედებამ. მან განაცხადა, რომ მათს წინააღმდეგ მიღებულ იქნება ღონისძიებანი. პრეზიდენტმა არ დაახასიათა, სახელდობრ რა ღონისძიებ ა ნ ი განხორციელ ე ლ დ ე ბ ა ტერორისტული გამოხდომების აღკ ვ ე თისათვის. ამასობაში, პრეზიდენტ დე გოლის დღევანდელ გამოსვლამდე ო რ ი საათით ადრე „ულტრების“ დამკვრელმა ჯგუფმა გაიტაცა ქალაქ ორანის რადიოსადგურის უფროსი და მისი უახლოესი თანამემწენი.

თავისი სიტყვის საგარეო პოლიტიკურ ნაწილში პრეზიდენტი ცდილობდა გამართლებინა ის, რომ საფრანგეთი თავს არიდებს მოლაპარაკებას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემთა, კერძოდ, გერმანიის საკითხის მოწესრიგებას შესახებ იმით, რომ დიმოწმა რაღაც „მუქარა“ საბჭოთა კავშირის მხრივ. საფრანგეთისადმი. ამავე მითიური „უშიშარი მუქარით“ დე გოლი შეეცადა დაესაბუთებინა გამაღაებული შეიარაღება, ატომური „დამკვრელი ძალის“ შექმნა საფრანგეთში. პრეზიდენტმა მოითხოვა დასავლეთ ევროპაში შეიქმნას „მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი და მძლავრი“ სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ გერმანია.

,,ჰეტ ფადერლანდი“: ჰოლანდიას პოლიტიკური იზოლაციის ემუქრება

ჰაგა, 6 თებერვალი. (საკდესი). ჰოლანდიის მთავრობა კვლავ აგზავნის ჯარებს თავის ბაზებში დასავლეთ ირიანში. მას შემდეგ, რაც იაპონიამ აუკრძალა ჰოლანდიის თვითმფრინავებს თავის ტერიტორიაზე დაჯდომა, ისინი მიდიან ალაესკის გავლით.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აგრეთვე აკრძალა თავის ტერიტორიაზე ამ თვითმფრინავების დაჯდომა. ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ჰოლანდიის მთავრობის სინანულს გამოთქვამს ამის გამო.

ამასთან დაკავშირებით გუშინ გადაიდო თვითმფრინავის გაფრენა, რომელიც დაქირავებული იყო დასავლეთ ირიანში ჰოლანდიელ სამხედრო მოსამსახურეთა მორიგი ჯგუფის გადასაყვანად.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებამ, რომელიც მოჰყვა ანტიამერიკულ დემონსტრაციებს ჯაკარტაში, ჰაგის პოლიტიკური წრეების შეშფოთება გამოიწვია.

გაზეთი „ჰეტ ფადერლანდი“, რომელიც კომენტარს უკეთებს ამ ცნობას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰოლანდიის მთავრობის ახლანდელი კურსის განგრძობა გამოიწვევს ჰოლანდიის პოლიტიკურ იზოლაციას. შექმნილ ვითარებაში, აღნიშნავს გაზეთი, ჩვენი პოლიტიკის გადასინჯვა ყველაზე გადაუდებელი საჭიროებაა.

ტელეგრამა გვაცყობინებს

✦ **დანიის** ტელევიზიამ ერთ-ერთ უკანასკნელ გადაცემაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საკონცერტო პროგრამის ცალკეული ნომრების ჩვენებას. ტელემაყურებლებს შესაძლებლობა მიეცათ კვლავ დამტკბარიყვნენ ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნებით, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ დიდი წარმატებით გამართეს გასტროლები დანიაში.

✦ **კონგოს** პრემიერ-მინისტრი სირი ადულა დღეს ნიუ-იორკიდან ვაშინგტონს ჩამოვიდა. ადულა შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის, სახელმწიფო მდივანს რასკს, აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ხელმძღვანელებსა და ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პრეზიდენტს მინის.

✦ **4 თებერვალს** არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჩავიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ტიტო. ალექსანდრიაში, სადაც პრეზიდენტი ტიტო ჩავიდა იახტ „გელაბით“, მას შეხვდნენ პრეზიდენტი ნასერი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

✦ **ცენტრალურ** ლაოსში დაიმსხვრა ამერიკის თვითმფრინავი „ს-46“, რომელმაც ხურსათი ჩაუგდო სავანაკეტის დაჯგუფების ჯარებს. დაიღუპა ეკიპაჟის ექვსივე წევრი — მათ შორის ორი ამერიკელი.

✦ **როგორც** კიოდო ცუსინის საგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი 4 თებერვალს ჩავიდა ტოკიოში ერთი კვირის ვიზიტად.

✦ **ფილიპინებში** იფეთქა პოლიომიელიტის ეპიდემიამ. საავადმყოფოებში მიიყვანეს პოლიომიელიტით დაავადებული 50-ზე მეტი ბავშვი. 4 მათგანი უკვე მოკვდა. ფილიპინების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას „არ შეუძლია გააკეთოს მასობრივი აცრა პოლიომიელიტის წინააღმდეგ, რადგან ვაქცინა ძალიან ძვირია“. (საკდესი).

ბატონ ლუბკეს „ფსიქოლოგიური ვიზიტები“

დასავლეთი ბერლინი, 5 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი **ე. ბაშმაჩნიკოვი** იუწყება:

დასავლეთ ბერლინის სენატის საოქმო განყოფილების შეფი დოქტორი კლაინი და მისი 25 თანაშემწე, როგორც თვით კლაინი აღიარებს, პირდაპირ წელში გაწყდნენ, რათა უზრუნველყონ დასავლეთ ბერლინში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ლუბკეს ყოფნის პროგრამის შესრულება. 12 დღის პროგრამის ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი იყო ლუბკეს გამოსვლა სოფლო-სამეურნეო ე. წ. „მწვანე კვირის“ გახსნაზე, სადაც პრეზიდენტმა საქიროდ დაინახა ხაზგასმით ღღენიშნა, რომ მისთვის „ბუნებრივი მოვალეობაა“ დასავლეთ ბერლინში ჩამოსვლა „სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი საბაბით“.

რა თქმა უნდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტი დასავლეთ ბერლინში აიხსნება არა სოფლის მეურნეობის სიყვარულით, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფედერალური პრეზიდენტის ვიზიტს დასავლეთ ბერლინში „ფსიქოლოგიური მნიშვნელობა“ აქვს. ლუბკეს ყოფნამ დასავლეთ ბერლინში, წერდა გაზეთი, შეიძლება, შეამციროს დასავლეთბერლინელთა ეშვი, რომ შესაძლებელია ქალაქის „იზოლაციისათვის“ წინააღმდეგობის გაწევა „და განამტკიცოს მათი რწმენა, რომ ფედერალური რესპუბლიკა საიმედო დახმარებას გაუწევს ამ საქმეში“.

დასავლეთ ბერლინში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის ყოფნასთან დაკავშირებით აქ ბუნდესტაგის ბევრი დეპუტატი ჩამოვიდა. მათ ამ დღეებში დასავლეთ ბერლინში მოაწყეს ბუნდესტაგის სამი კომისიის დემონსტრაციული სხდომა.

დღეს კი მოელიან მორიგ ვიზიტორს ბონიდან — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შრედერს.

,,ფსიქოლოგიური ვიზიტები“

ბონი, 6 თებერვალი. (საკდესი). ბონის ოფიციალურ წრეებში ეჭვი ეპარებოდა, ეცოდინებოდა თუ არა ლუბკე, ბონიდან ბერლინში ჩასვლისას, ბერლინელ ბანკირ ფონ ბეტმანის ბინაზე ბინადარ ადამიანთა ბედზე, ბერლინელ ბანკირ ფონ ბეტმანის ბინაზე ბინადარ ადამიანთა ბედზე, ბერლინელ ბანკირ ფონ ბეტმანის ბინაზე ბინადარ ადამიანთა ბედზე.

,,ეს ბინა ჩემია“

ბერლინი, 5 თებერვალი. (საკდესი).

მეოცნებე დიდ სიკეთეზე

ჩარლზ დიკენსის დაბადების 150 წლისთავის გამო

ჩარლზ დიკენსი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ბავშვობისას უსათუოდ უნდა გაიცნოს ადამიანმა და მერე მთელი ცხოვრების თანმგზავრად გაიხადოს. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მოვლენები, დიდი ძვრები, რაც ერთნაირად ააფორიაქებს მის გულს და მერე გარკვეულ დაღს ასვამს მთელ ცხოვრებას, თავისებურად წარმართავს მის არსებობას. ეს ძვრები სულ სხვადასხვაგვარია და სხვადასხვა დროს ეწვევა ხოლმე ადამიანს. ეს შეიძლება იყოს მძაფრი მწუხარება ან სიხარული, დიდი ტკივილი ან იმედის გაცრუება, რაღაც დიდი ცხოვრებისეული საიდუმლოს შეცნობა თუ აღმოჩენა, რაც თავისთავად იდუმალ იმედებსა და სევდას შეიცავს.

დიკენსის შემოქმედება შეიძლება სწორედ ასეთი „ძვრების“ გამომწვევ მოვლენად მიეჩნიოთ, რადგან ის საოცარი მრავალფეროვნებითა და სიმართლით გადაგვიშლის ადამიანის მეტად რთულ სულიერ სამყაროს, მთელი თავისი სიკეთითა და ბოროტებით. ეს ორი სიტყვა — სიკეთე და ბოროტება — შემთხვევით არ გვიხსენებია. ეს არის დიკენსის შემოქმედების ამოსავალი წერტილი. ოცამდე დიდი წიგნი გამოაქვეყნა დიკენსმა თავის არცთუ ისე ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (იგი გარდაიცვალა 58 წლისა) და ყველგან, ყველა მის რომანსა თუ მოთხრობას გამოკვეთილ ზოლად გასდევს ადამიანური ცხოვრებისა და ურთიერთობის ეს ორი მთავარი საწყისი. დიკენსს თამამად შეეძლო თავისი შემოქმედებისათვის საერთო ეპიგრაფად წაემძღვარებინა შოთა რუსთაველის სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ბოროტისა და კეთილის დაპირისპირება, ცხოვრებაში გამოვლინება და ჰიდილი, საერთოდ მხატვრული ლიტერატურის მარადიული თემაა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, არსად არც ერთი მწერლის შემოქმედებაში არ არის ეს ისე გამოკვეთილი და ხაზგასმული, როგორც დიკენსისაში. ბავშვობაში მან თვითონ მთელი სიმწვავითა და სიმძიმით განიცადა სოციალური თუ ადამიანური ბოროტების საშინელება და შემდეგ, როგორც ჭეშმარიტ ჰუმანისტ მწერალს შეეფერება, თავის შემოქმედებაში მკაცრად გაილაშქრა ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, დაუზოგავად დასცინა ადამიანურ სიხარბეს, შურს, გაუტანლობასა და ამაო პატივმოყვარეობას. იგი საღებავებს არ იშურებს, რათა მთელი საშინელებით დახატოს ქვეყანად გამეფებული უსამართლობა, უხეში ძალის მიერ სუსტისა და ფაქიზის გათელვა, უსიხარულოდ დაღამებული ცხოვრება, ფიზიკურად და სულიერად დასახჩრებული ბავშვობა, კანონის მიერ წაქეზებული ძალმომრეობა, სიხარბითა და გაუმაძღრობით გამხეცებული ადამიანისაგან ძმისა და მოყვასის არ დანდობა... მთელი ის მანკიერება, რაც თანა სდევს კაპიტალისტურ საზოგადოებას და რაც იმხანად მთელი სიმწვავითა და სიშიშვლით გამოვლინდა ინგლისში. შეიძლება ითქვას, რომ არავის არ მოუხერხებია იმდროინდელი ინგლისის ისე ცოცხლად და მრავალფეროვნად დახატვა, როგორც დიკენსმა შეძლო. მისი წიგნების კითხვისას თითქოს ყურში ჩაგვესმის და თვალნათლივ ვხედავთ აჩოჩქოლებულ ბირჟებს, უცხოეთიდან ჩამოტანილი საქონლით გამოტენილ საწყობების სინესტეს, გემებისა და ფაბრიკების კვამლით გაჟღენთილ ნისლს, რომელიც დაბლა ჩამოწოლილა ინგლისზე, ბავშვობაში მან თვითონ ამოიარა ეს ადგილები, ბევრი ტანჯვა-წამება ასატანი ბავშვობისა, ოჯახური ჩხუბი, ალკოჰოლიზმი, ბავშვობა, ოჯახი, ოჯახი... ეს ოჯახი, ეს ოჯახი, ეს